შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 194/20

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„07“ აგვისტო 2020წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქალაქი თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №108, შ.პ.ს. „მირაქსი“-ს (ID: 400157879) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.11.10.008.001 IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, აკინძული ალბომის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „lira-sapr 2013R3“-ის საშუალებით, აკინძული ალბომის სახით.

დამკვეთი: შ.პ.ს. „მირაქსი“ ID: 400157879
პრ. მთ. არქიტექტორი: დავით ბერულავა
პრ. მთ. კონსტრუქტორი: ალექსანდრე კორტავა
ექსპერტი-კონსტრუქტორი: ვახტანგ ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირე შეჭრებით და კონსოლური ნაშვერებით, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ნაგებობის ძირითად ღერძებს შორის: 15,80X48,60 მეტრი.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ორი ბლოკისაგან შედგენილ ნაგებობას, რომლებიც „5“-„6“ ღერძებს შორის ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერით, ღერძებს შორის: 60სმ.

საპროექტო ნაგებობის ძირითადი ნაწილი თექვსმეტმეტსართულიანია (თხუთმეტი მიწისზედა და ერთი სრული მიწისქვეშა, (სარდაფის) სართულით), ძირითადი ნაწილი განთავსებულია „ა-დ“ და „1–10“ ღერძებს შორის, შენობა „ა-დ“ და „10–11“ ღერძებს შორის ერთი-ორსართულიანია.

სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 3,00მ; I სართულის სიმაღლე შეადგენს 4,20მ; დანარჩენი სართულების სიმაღლე შეადგენს 3,30მ;

შენობის სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,15მ; 6,00მ; 6,10მ; 5,75მ; 5,75მ; 6,10მ; 6,00მ; 6,15მ და 10–11“ ღერძებს შორის ერთი-ორსართულიან ნაწილში 8,375მ; სვეტების ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 4,95მ; 5,90მ; და 4,95მ;

კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა. ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „lira-sapr 2013R3“-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ²; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ².

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია 1,00 მეტრი სისქის შრეებად (20-25სმ) დატკეპნილი ბალასტი, ხელოვნური ფუძის ქვეშ განთავსებულია თიხნარი გრუნტი საანგარიშო წინაღობით R_0=2,6კგძ/სმ²; დეფორმაციის მოდულით E=188კგძ/სმ²

შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:

- შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით; ფილის სისქე შეადგენს 120სმ-ს, ნაგებობის ძირითადი ნაწილის ქვეშ და 50სმ-ს ერთ-ორსართულიანი ნაწილის ქვეშ. ფილის ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B-10 კლასის ბეტონისაგან;
- სარდაფის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 70X70სმ +10.70 ნიშნულამდე; 60X60სმ +23.90 ნიშნულამდე; 50X50სმ +37.10 ნიშნულამდე და 40X40სმ +37.10 ნიშნულს ზემოთ და ერთ-ორსართულიან ნაწილში, 10–11" ღერძებს შორის;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X50(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით 20სმ, +7.40 ნიშნულამდე; +10.70 ნიშნულიდან ურიგელო ტიპის სახით ცენტრალურ ნაწილში, გარე კონტურზე რიგელებით.
- დიაფრაგმები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 30სმ;
- ლიფტის შახტა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 20სმ;
- კიბის უჯრედები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის მარშებით, ბაქნებით და საფეხურებით.
- გარე კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის" მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, სისქით 30სმ; პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).
- ტიხრები დაპროექტებულია „პემზობეტონის" სატიხრე ბლოკებით, სისქით 10სმ; პროექტში გათვალისწინებულია ტიხრების ჩამაგრება გადახურვის და კარკასის კონსტრუქციებთან სამონტაჟო ელემენტებით.
- სახურავი ბრტყელი ტიპისაა, რულონური მასალებისაგან.

კორექტირებულ პროექტში არ ხორციელდება რადიკალური ცვლილებები არც არქიტექტურულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით და არც ფართების მხრივ; ასევე პროექტის საბოლოო კორექტირებული არქიტექტურული ვარიანტი დამატებით ითვალისწინებს იმ ნიუანსების კორექტირებას რაც დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წერილში, წერილის ნომერი: 17-01200862062, თარიღი: 26/03/2020, პინი: 3101; №4642683 22.08.2019წ. ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში, კერძოდ:

„ტერიტორიაზე ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ნიშნულები, რის გამოც ტერიტორიაზე „d" ღერძის გარეთ „1-10" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხურები, პანდუსები და ბაქნები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და მდებარეობა. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია შელებილი ცხაურების ვიზუალი, გაბარიტი, მდებარეობა, ასევე მათი ნაწილი გაუქმებულია. ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები, სატელიტური თეფში, სარეცხის საშრობად განკუთვნილი ლითონის კონსტრუქციები, აივნის ძირებზე დამატებით მოწყობილია წყლის საწრეტად განკუთვნილი ხვრელები. ნაწილობრივ შეცვლილია მინის მოაჯირების ფერი. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირის სიმაღლეები. +20,70 ნიშნულის ქვემოთ, ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გამყოფი ტიხრების სიმაღლეები, სრული მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. +7,20 ნიშნულის ქვემოთ, შენობის პერიმეტრზე შეცვლილია ვიტრაჟების მინის ფერი. ამავე ნიშნულის ქვემოთ

5296 ISI XXI" LTD

შენობის ფასადებზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები და აბრები. შენობაში +4,20 ნიშნულზე და მის ქვემოთ, „4-7" მონაკვეთში სართულშუა გადახურვის ფილაში გაუქმებულია ღიობები და ამომსვლელი და ჩამსვლელი სამანქანო ლიფტები. მონოლითური და ბლოკის კედლების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებისა და პილონების კვეთი და ფორმა. შენობაში, სადარბაზოებში „2-3" და „a-b", ასევე „8-9" და „a-b" მონაკვეთებში არ არის მოწყობილი კარები. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოების ფორმა და გაბარიტი, ასევე გაზრდილია ბინების რაოდენობა. სადარბაზოებში, „a-b" მონაკვეთში სართულშუა გადახურვის ფილებში ფიქსირდება ღიობები საკომუნიკაციო-საინჟინრო ქსელებისათვის. ფასადებზე, აივნების ნაწილზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი გადახურვები. „5-6" მონაკვეთში არსებული შოვი ნაწილობრივ შევსებულია. ფოტომონტაჟზე და ფასადის ნახაზებზე ნაჩვენები ფასადების მოპირკეთება ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს.

-3,000 ნიშნულზე: „1" ღერძის გარეთ, შეცვლილია პანდუსის კედლის ფორმა. „1" ღერძის გარეთ, „b" ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალმიმღები არხი. „1" ღერძზე „b-c" მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითური კედელი, მის ნაცვლად ღიობში კი მოწყობილია მექანიკური კარი. „11" ღერძთან, „b-c" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტექნიკური ჭა. „5" ღერძზე „b-c" მონაკვეთში, ასევე „6" ღერძზე „c-d" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. „1" ღერძის გარეთ არსებული პანდუსის დახრა შეადგენს 35%-ს.

+0.000 ნიშნულზე: „b" ღერძზე, „2-3" და „8-9" მონაკვეთებში შევსებულია სადარბაზოსა და ლიფტის კარის ღიობები. „a" ღერძისა და „5-6" მონაკვეთის კვეთასთან არსებული კოლონები არ არის ნაჩვენები გეგმის ნახაზზე. „d" ღერძზე, „6-7" მონაკვეთში, ასევე „d" ღერძის გარეთ, „8-9" მონაკვეთში ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია კარები. შენობაში, „1-10" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები, რის ხარჯზეც გაუქმებულია პარკირება.

+4,20 ნიშნულზე: „b" ღერძზე, „4-5" და „6-7" მონაკვეთებში შემცირებულია ღიობების სიგანე, ხოლო „6-7" მონაკვეთში არსებულ ღიობში მოწყობილია ვიტრაჟი. შენობაში, „5" და „7" ღერძებზე დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები, რის ხარჯზეც ნაწილობრივ გაუქმებულია პარკირება. „10-11" მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების სიგანე.

+50,40 ნიშნულზე: ნაწილობრივ შეცვლილია შახტების რაოდენობა და მდებარეობა. „b" ღერძზე, „2-3" და „8-9" მონაკვეთებში შეცვლილია ღიობების გაბარიტი და მათში მოწყობილია კარები. „2-3" და „a-b", ასევე „8-9" და „a-b" მონაკვეთებში კედლებს მონაცვლებული აქვს მდებარეობა და მოწყობილია კოლონების გარე პირზე. ნაწილობრივ გაზრდილია ტექნიკური ოთახების სართულის სიმაღლეები.

ფასადი 1-10: +50,75 ნიშნულის ზემოთ, „2-3" და „8-9" მონაკვეთებში არსებულ ღიობებში მოწყობილია კარები, ამავე მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები ფრამუგით.

ფასადი 11-1: +4,20 ნიშნულზე, „11-10" მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირის ვიზუალი. ამავე ნიშნულზე, „10" ღერძთან დამატებით მოწყობილია კონდენციონერის აგრეგატები ცხაურით. ამავე ნიშნულზე, „9" და „2" ღერძებთან შეცვლილია კარების ვიზუალი, ხოლო „9" ღერძთან არსებულ კართან მოწყობილია მსუბუქი გადახურვა. „9" და „2" ღერძებთან, მინაბლოკებზე დამატებით მოწყობილია ლითონის დეტალები. ფასადზე +30,60 ნიშნულის

ზემოთ, „7-4“ მონაკვეთში ფიქსირდება რკინის დეტალები. „10“ ღერძთან ცხაურები გაუქმებულია და მათ ნაცვლად ფიქსირდება კედელი. +10,50 ნიშნულთან, „7-6“ მონაკვეთში მოწყობილია გამწოვი მილი. ფასადი ე-ა: +0,000 ნიშნულზე, „e-c“ მონაკვეთში კიბის საფეხურებთან დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. +7,20 ნიშნულთან, „c-b“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. +46,80 ნიშნულთან, „e-c“ მონაკვეთში გაუქმებულია მსუბუქი გადახურვა. ჭრილი 1-1: -3,000 ნიშნულზე, „10“ ღერძზე შეცვლილია კოლონების ფორმა, ამავე ღერძზე გაზრდილია რიგელის კვეთი. ტერიტორიაზე, „I“ ღერძის გარეთ არსებული კედელი, ასევე „a“ ღერძის გარეთ არსებული სარინელი ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვრებს.“

ზემოთჩამოთვლილი ცვლილებები ძირითადად არქიტექტურული ხასიათისაა, კონსტრუქციული ხასიათის ცვლილებები უმნიშვნელოა და რადიკალურად არ ცვლის ნაგებობის ძირითად მზიდ კონსტრუქციულ სისტემას.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის სივრცული ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B-25; არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A -500C და A-240;

კორექტირებულ პროექტს თან ერთვის ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგები, აკინძული ალბომის სახით; ანგარიშები შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-sapr 2013R3“-ის საშუალებით, ნაგებობის კორექტირებული კონსტრუქციული სქემის გათვალისწინებით.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია შენობის მზიდი კარკასის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით, არქიტექტურული ცვლილებების სრული გათვალისწინებით.

<u>დასკვნა:</u>

ქალაქ თბილისში, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №108, შ.პ.ს. „მირაქსი“-ს (ID ნომერი: 400157879) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.11.10.008.001 IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში, არქიტექტურული ცვლილებების სრული გათვალისწინებით

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე, გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე, , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძეს ვახტანგ ჟივიეს ძეს მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1985 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „3" ... გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 „29" 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Живиевичу в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1985 году окончил полный курс названного института по специальности промышленное и гражданское строительство.

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 1985 г. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

1276

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქ. / CIT GEO

სქესი / SEX მ / M

პირადი No / PERSONAL No 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 10.06.1963

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 26.06.2026

ბარათის No / CARD No 15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO15IC192675010050217960<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაკეთებით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი:

/ვ. ჯაფარიძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	35 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	20 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2020წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	07.08.2020წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე

